ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6969146

ნომერი: AR11020470

თარიღი : 01.03.2024

გაცემის თარიღი : 05.04.2024

გაცნობის თარიღი : 07.04.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N70 / პეკინის გამზირი N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ მღებრიშვილი პ/ნ 01008041540
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი II, კორპუსი 6, ბინა 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელებისმიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

სამსახურს შეფასებით კვლავ არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული ფასადზე მსგავსივ ვიზუალიზაციიით სარეკლამო აბრების განთავსება, როგორც რაოდენობით , ასევე მიუღებელია მისი ვიზუალიზაციაც გაითვალისწინეთ:

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : - კონტურის სახით მოინიშნოს # 01.10.13.031.006.30.01.501 ფართის ფასადის არეალი;

შესაძლებელია აბრა მოაწყოთ მხოლოდ შუბლის ნაწილში (რა ნაწილშიც ეხლაა აბრები მოწყობილი , ჰორიზონტალური მიმართულებით, მხოლოდ შავი ფონის გარეშე) რეკლამის შესახებ კანონის გათვალისწინებით და დაცვით ;

გაითვალისწინეთ: "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე- 2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის(ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე".

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.

გაითვალისწინეთ : წარმოსადგენი გექნებათ განახლებული ფოტომონტაჟი აბრის ალტერნატიული ვარიანტის

ესკიზთ, რომელიც შესრულებული იქნება ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით და თქვენი კუთვნილი ფართის ფასადის ზედაპირზე .საჭიროა საპროექტო აბრას მიეწეროს ზომები, რომლის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო ფასადის(#01.10.13.031.006.30.01.501) ფართის ზედაპირის 20 %(ჩანაწერის სახით აისახოს ასევე საპროექტო აბრას ფასადის რამდენი % აქვს დაკავებული). ამ ეტაპზე მითითებულია საპროექტო ფართის ფასადის ნაცვლად მთლიანი ფართის ზედაპირი .

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.